



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საგრებულო



გ ა ნ დ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 330

16 ივნისი  
“—” 2022 წ

## ა. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ წავისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.19.747; №81.02.19.746; №81.02.13.953) სასტუმროსა და კულტურის დაწესებულების (ყინულის მოედნისა და ღია აუზის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 7 ივნისის №22.1040.1139 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, სოფელ წავისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.19.747; №81.02.19.746; №81.02.13.953) სასტუმროსა და კულტურის დაწესებულების (ყინულის მოედნისა და ღია აუზის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული №01221572227-67 (№012217650-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 22.1040.1139  
7 / ივლისი / 2022 წ.

ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაგვეთებზე (საკადასტრო კოდები:  
N81.02.19.747; N81.02.19.746; N81.02.13.953) სასტუმროსა და კულტურის დაწესებულების  
(ყინულის მოედნისა და ღია აუზის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის  
მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სხიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და  
ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 6 ივნისის N01221572227-67 (N012217650-67)  
განცხადებით მიმართა დავით სირაძე (პ/ნ 01030000609) და ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში  
არსებულ მიწის ნაგვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.747; N81.02.19.746; N81.02.13.953)  
სასტუმროსა და კულტურის დაწესებულების (ყინულის მოედნისა და ღია აუზის) განაშენიანების  
რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის  
ნაგვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.747; N81.02.19.746; N81.02.13.953). ჯამური ფართობი:  
22 000 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესატლორება პარკის ქუჩა,  
სამხრეთიდან თბილისი-კოჯორის ქუჩა, ჩრდილოეთიდან ნასახლარის ქუჩა, ხოლო დასაგლეთიდან  
ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსი. საპროექტო ტერიტორიას, ჩრდილო-  
აღმოსავლეთიდან ესატლორება პარკის ქუჩა, სამხრეთიდან თბილისი-კოჯორის ქუჩა, ჩრდილოეთიდან  
ნასახლარის ქუჩა, ხოლო დასაგლეთიდან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსი.

„დედაქალაქის მიწათსარებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული  
მიწათსარებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რეგის მიხედვით, საპროექტო  
ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სტ-3) და გამწვანებული ტერიტორიების ფენით -  
შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3 (რტ-3).

შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება ყველა ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო  
დანიშნულებით განვითარება და სასტუმროსა და კულტურის დაწესებულებების - ყინულის მოედნის და  
საცურაო აუზის შექნებლობა. აღნიშნულ შენობებამდე მისასვლელის მოწყობა განხორციელდება მხოლოდ  
ნასახლარის ქუჩის მხრიდან, სასტუმროს მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს 15 მეტრს, ყინულის მოედნის -  
17,5 მეტრს, ხოლო აუზის - 10 მეტრს.

შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

საპროექტო არეალის ჯამური ფართობი: 22 000,0 კვ.მ

საპროექტო ტერიტორია ვითარდება ორ მიწის ნაგვეთად:

N1 ნაგვეთი - სპეციალური ზონა 1 (სპეც-1) 15 317 კვ.მ

განაშენიანების ფართობი დაახლოებით: კ-1=0,6

განაშენიანების ინტენსივობის საანგარიშო ფართობი დაახლოებით: (11 000 კვ.მ), კ-2=0,7





მიწის ნაკვეთის გამწვანების ფართობი : კ-3=0,2

N2 ნაკვეთი - საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) 6 683 კვ.მ

განაშენიანების ფართობი დაახლოებით: კ-1=0,5

განაშენიანების ინტენსიონის საანგარიშო ფართობი დაახლოებით: (10 026 კვ.მ), კ-2=1,5

მიწის ნაკვეთის გამწვანების ფართობი: კ-3=0,3

არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და გამწვანებული ტერიტორიების ფენით - შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

საპროექტო ფუნქციური ზონირება: სპეციალური ზონა 1 (სპეც-1) და საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების „შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორგვე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმანორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმვარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განმანორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმანორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა საფალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა დამის კლუბის, სასაჩუბო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანებისრეგულირების წესების დამტკიცების „შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქითმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია დაეფუძნოს გაზრდა, მათ შორის ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანებისგანახლება-განვითარება. გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება, მსოფლიო განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების პოლიტიკის ამოწურვის ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქითმშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქადაგეო სამსახურის 2022 წლის 27 ივნისის N01221782413 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქადაგეო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში, თანახმად დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ცრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 28 ივნისის N01221793765 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ცრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის სოფელ წავისში ირსებელ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.747; N81.02.19.746; N81.02.13.953) სასუმროსა და გულტურის დაწესებულების (ყინულის მოედნისა და ღია აუზის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული განონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ექსლაის „ე.ბ.“ ქეებუნექტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ცენტრის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საგრებელოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესის №-9 მეხლის მე-6 პენქტის, ასევე, N01221572227-67 (N012217650-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ცრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, სოფელ წავისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.747; N81.02.19.746; N81.02.13.953) სასუმროსა და გულტურის დაწესებულების (ყინულის მოედნისა და ღია აუზის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამართლის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.
2. წინამდებარე განვარგულების პირები პენქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამართლის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.
3. კონტროლი განვარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.
4. ამ განვარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მსარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განვარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქადაგეო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მეტი

პახა ქადაგი



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მარია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01221782413

თარიღი: 27/06/2022

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 6 ივნისის №01221572227-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, სოფელ წავისში ორსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 81.02.19.747; 81.02.19.746; 81.02.13.953; არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3); გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკა: სარეკრეაციო ზონა 3; საპროექტო ფუნქციური ზონირება: სპეციალური ზონა 1 და სზ-3) ყინულის მოედნის, საცურაო აუზის და სასტუმროს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცხობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების სარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი 12 ძირი (ს/კ: 81.02.19.747 - №93, №113-122; ს/კ: 81.02.19.746 - №58) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საგრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

ასევე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (არსებული: 14 ძირი ბიოტა, ასევე, საპროექტოდ დასარგავი: 20 ძირი ჰიმალაის კედარი, 25 ძირი იტალიური ფიჭვი, 35 ძირი ცრუჭადარფოთოლა ნეკერჩალი, 22 ძირი ჩვეულებრივი იფანი, 21 ძირი წვრილფოთოლა ცაცხვი, 26 ძირი ევროპული მუხა, 14 ძირი კავკასიური აკაკი, 18 ძირი მელია აზადერახი და 15 ძირი არღავანი; ჯამში - 210 ერთეული) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (ნაკვეთები პირობითი ნომრით: A1 = 3 063.4 მ<sup>2</sup>; A2 = 2 004.9 მ<sup>2</sup>; ჯამში - 5 068.3 მ<sup>2</sup>).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

აქვე, წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში, ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით გაცხობებთ, რომ დეტალური პროექტი დროს ისინი წარმოდგენილი უნდა იქნას თითოეული სექტორისთვის (A1 და A2) ცალ-ცალკე.

ამასთან, მცენარეთა ექსპლიკაციის ცხრილის მიხედვით გათვალისწინებულია 26 ძირი ევროპული მუხის დარგვა, ხოლო დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფაზე მითითებულია - 25. შესაბამისად, დეტალური პროექტირების დროს საჭიროა განმცხადებელმა ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს სენებული დოკუმენტაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს ყინულის მოედნის, საცურაო აუზის და სასტუმროს

განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო  
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული  
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01221793765  
თარიღი: 28/06/2022

2022 წლის 25 ივნისის N 012217650-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, სოფელი წავისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 81.02.19.747, 81.02.19.746, 81.02.13.953) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფაქტობრივი მდგომარეობისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინების საფუძველზე, გაააღიაზო მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2022 წლის 10 მარტის N 01220694478-67 განცხადების პასუხად N 0122075648 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები, თანხმობის წერილებთან ერთად.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია  
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01221813995  
თარიღი: 30/06/2022

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 25 ივნისის №012217650-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, სოფელ წავეისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 81.02.19.747; 81.02.19.746; 81.02.13.953; არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3); გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკა: სარეკრეაციო ზონა 3; საპროექტო ფუნქციური ზონირება: სპეციალური ზონა 1 და სზ-3) ყინულის მოედნის, საცურაო აუზის და სასტუმროს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.


გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა 2022 წლის 27 ივნისის №01221782413 წერილით.

გთხოვთ, იხელმძღვანელოთ ზემოაღნიშნული პოზიციით.

დანართი: 2 (ორი) გვერდი.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





A1	15317	საქართვის ფინიკია	სამეცნიერო სამიაკუნძულოს სტუდენტი	სამეცნიერო მიზნისობრივი დანიშნულება	სამეცნიერო მიზნისობრივი დანიშნულება
A2	6683	კონკრეტული ნივთები	სამეცნიერო დაწილებულის სტუდენტი	სამეცნიერო მიზნისობრივი დანიშნულება	სამეცნიერო მიზნისობრივი დანიშნულება

卷之三

مکالمہ نوری


四庫全書

卷之三

ნაკვეთის პრინტილი ნომერი	ნაკვეთის ფართისბი	ფართის ზომა	დასწერების სახელმა	საგარიშოსალისის საქუთამა
A1	15317	სპეციალური ზომა 1 (ნაკვე-1)	ყონილი მოყვანი / აუზი	-
A2	6683	სატელევიზიური ზომა 3 (ნაკვ-3)	-	სატელემრიღი



ကျော်ကျော်



cyclic quarks

କେତେ ପରିମାଣରେ କାନ୍ଦିଲାରେ କାନ୍ଦିଲାରେ କାନ୍ଦିଲାରେ

వెంటన్న గుప్తికాల పురుషుడు

କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ

“**କାନ୍ତିମାଳା**” ପରିଚୟ ଓ ଲଙ୍ଘନ କରିବାକୁ ଆଶୀର୍ବାଦ କରିଛି ।

କୁଳାଳରେ ପାଇଁ ଏହା ଅନ୍ତର୍ଭାବରେ ଆମିଲାଙ୍କ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ

卷之三

Ergebnisse der Untersuchungen haben gezeigt, dass die Ergebnisse der Untersuchungen nicht signifikant von den Ergebnissen der anderen Methoden abweichen.

Digitized by srujanika@gmail.com

卷之三